ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ო ქ მ ი N01

ქ. ონი 13 აგვისტო 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით ჩიკვაიძე - ონის მუნიციპალიტეტის მერი - სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. **სხდომას ესწრებოდნენ:**

- ვალერიან გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის კორდინატორი;
- თამარ ლობჯანიძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ირინა გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- თეიმურაზ გრძელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გივი ბენდიანიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მანანა ჩაგელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მარინე მაისურაძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- დავით ჩიხრაძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ვასილ მეტრეველი - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გივი მეტრეველი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- სერგო ლობჯანიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ვანო ბაღაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- თინათინ ბროლაშვილი - კომისიის მდივანი, მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი;
- იმედა მეშვილდიშვილი - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ნაზიბროლა გავაშელიშვილი - „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაცი"-ის წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- პავლე გოგშელიძე - ინდ. მეწარმე, სამუშაო ჯგუფის წევრი;

- რეზო რაზმაძე - ინდ მეწარმე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ისმაილ ამშიკაშვილი - ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, სამუშაო ჯგუფის წევრი.

დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დადგენა. სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2022-2025 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები - ჭერები შედეგების მოწონების შესახებ.

განხილვა:

სხდომა გახსნა მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩიკვაიძემ მოკლდ ისაუბრა ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ძირითად პრიორიტეტებზე ასევე აღნიშნა, რომ ეს წარმოდგენილი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომელიც დაზუსტება მოხდება არჩევნების შემდგომ, ახალი ხელისუფლების მიერ. პრიორიტეტის დოკუმენტის მოკლე მიმოხილვა გააკეთა საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსმა თინათინ ბროლაშვილმა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის N283 ბრძანების შესაბამისად შედგა ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის პირველადი სახე, რომელშიც შეტანილი იქნა სხვა ინფორმაციასთან ერთად ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პრიორიტეტებზე და ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები. დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება გადაიხედოს 2022-2025 წლების პრიორიტეტების და პროგრამების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა თეიმურაზ გრძელიშვილმა ისაუბრა ინფრასტრუქტურული პროექტების შესაბამისი პროგრამების-ღონისძიებების შესახებ რომლებიც იგეგმება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში. გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოებში განსაზღვრულია სოფელ პიპილეთი-ჟაშქვის გზის ცემენტ-რკინა-ბეტონით მოწყობა, სოფელ ლაგვანთა საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლები გზის ასფალტო-ბეტონით მოწყობა, სოფელ კვაშხიეთის, ახალი ჩორდის, სევის, სორი-გადამში-ჭვებარის, გომი-ჯინჭვისის და სახაზოს გზის მშენებლობა; სოფელი სევა, ფარახეთი, შარდომეთი, ახალი ჩორდი, ზვარეთი, ხეითი, ჯოისუბანი სასმელი წყლის სისტემის (ღვინიას წყალი) ცენტრალური მაგისტრალის და შიდა ქსელის რეაბილიტაცია, სოფელ უწერაში სასმელი წყლის სისტემებზე დამატებითი ღონისძიებების განხორციელება; ასევე გაგრძელდება წინა წლებში მიმდინარე ქ. ონში ქუჩებისა და საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობის შემდეგი ეტაპები; იგეგმება საჭიდაო დარბაზის მშენებლობა; ასევე გახორციელდება სოფლებში გარე განათების ქსელის მოწყობის რეაბილიტაცია; განხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდა საცურაო აუზის, ახალი ბუნებრივი საფარიანი სტადიონის მოწყობის, ლებანიძის სანაპიროსი, ქ.ონში დემეტრე მე-2-ის მოედნის რეაბილიტაციის ექსპერტიზის მომსახურების გათვალისწინებით; ასევე გაგრძელდება ქალაქის სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება. ყურადღება მიექცევა განხორციელებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვას. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე ვასილ მეტრეველი გამოვიდა ინიციატივით, აღწერილი იქნეს და რეგისტრირებული მუნიციპალიტეტის სოფლების წყალსადენის სათავე ნაგებობები და ძირითადი მაგისტრალი. აღნიშნული დაახლოებით 200-მდე მაინც იქნება რომელიც უნდა იყოს რეგისტრირებული და უნდა გაძლიერდეს ყურადღება მათ მოვლა შენახვაზე. ასევე ყურადღება მიექცეს სოფელ უწერას, დაპირება იყო და უნდა განხორციელდეს კანალიზება, ასფალტირების სამუშაოები, ყურადღება უნდა მიექცეს ტურიზმის განვითარებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას. ტურისტებს აქვთ სასეირნოდ მოკლე სივრცე,

რომლის გაფართოება შეიძლება ბეღლორის ხეობაში და ნაპერწკალას ტერიტორიის მიმდებარედ. შესაძლებელია მოეწყოს დასასვენებელი ადგილები, სკვერები, საკურორტო ზონები ასევე შესაძლებელია გაკეთდეს გლოლაში, მრავალძალიში, ქვაგახეთქილიდან პიპილეთამდე, ღები-სასვანო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა გახდეს პრიორიტეტად, სვანეთიდან გადმოვლენ ღების მიმართულებით ტურისტები რაც დამატებითი შემოსავალი გაჩნდება მოსახლეობაში. რის შესახებაც ისაუბრა სერგო ლობჯანიძემ სამუშაო ჯგუფის წევრმა. ასევე ვასილ მეტრეველმა ისაუბრა მერიის და საკრებულოს შენობების არ არსებობაზე უნდა მოხდეს ძველი სავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია სადაც იქნება როგორც საკრებულო, მერია ასევე რამოდენიმე ა(ა)იპი განთავსებული. საკრებულოს კომისიის წევრმა გივი მეტრეველმა იკითხა ბერშევის სახელობის პარკისა და ყოფილი ბაზრის ტერიტორიის რეაბილიტაციის შესახებ, ასევე ღები-სვანეთის მიმართულების გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ინდ. მეწარმე პავლე გოგშელიძემ აღნიშნა რომ, აუცილებლად საჭიროა სოფელ შარდომეთის ნაპირსამაგრის მშენებლობა, მდინარე რიონი საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და ახლად მოასფალტებულ გზას, რაც სასწრაფოდ მოსაწესრიგებელია. სამუშაო ჯგუფის წევრმა მანანა ჩაგელიშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა მერს ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, მაგრამ ამავე დროს აღნიშნა, რომ ბაგა-ბაღის ეზო ვერ აკმაყოფილებს პროექტში აღნიშნულ ფართს თავდაპირველად ეზოს ტერიტორია იყო უფრო დიდი და თავსდებოდა ორი სათამაშო მოედანი. დღეის მდგომარეობით ეზოს აქვს სულ სხვა პარამეტრები და ერთი სათამაშო მოედანი სრულად ამოვარდა. გამომდინარე იქიდან, რომ ბაღმა უნდა გაიაროს ავტორიზაცია აუცილებლია ეზოს ფართობი გაიზარდოს მიმდებარე ბერშევას სახელობის პარკის თავისუფალი ტერიტორიის მიერთებით, რაც სრულად თავისუფლად შეიძლება განხორციელდეს ვინაიდან გაზის სათავე ნაგებობის გვერდით ბავშვების სათამაშო მოედნის გაკეთება სრულად დაუშვებელია. დასვა საკითხი ბავშვთა რაოდენობების ზრდიდან გამომდინარე დადგეს საკითხი ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით.

სამუშაო ჯგუფმა დაადგინა:

სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი (პირველადი ვარიანტი) მოწონებული იქნეს სამუშაო ჯგუფის ოქმით. წამოჭრილი პრობლემები და წინადადებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნება დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების შემთხვევაში. საფინანსო საბიუჯეტო სამსახურს საბიუჯეტო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით ეთხოვოს:

ონის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების შემდგომ საფინანსო საბიუჯეტო სამსახურმა პროგრამების განმახორციელებელ დარგობრივ სამსახურებს და ა(ა)იპ-ებს გაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმები.

მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე პროგრამების განმახორციელებელმა შესაბამისმა დარგობრივმა სამსახურებმა საფინანსო საბიუჯეტო სამსახურებმა და ა(ა)იპ-ებმა საბიუჯეტო განაცხადის შევსებული ფორმები წარუდგინონ მუნიციპალიტეტის 2021-2024 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით დადგენილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში. გაზრდილი დაფინანსება დასაბუთებული უნდა იქნას პროგრამის ინდიკატორის გაზრდილი სამიზნე მაჩვენებლით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად იქნა გამოცხადებული.

თავმჯდომარე: _____ დავით ჩიკვაიძე

სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი: _____ ვალერიან გობეჯიშვილი

მდივანი: _____ თინათინი ბროლაშვილი

სამუშაო ჯგუფის წევრი: _____ თამარ ლობჯანიძე

_____ ირინა გობეჯიშვილი

_____ თეიმურაზ გრძელიშვილი

_____ გივი ბენდიანიშვილი

_____ მანანა ჩაგელიშვილი

_____ მარინე მაისურაძე

_____ დავით ჩიხრაძე

_____ ვასილ მეტრეველი

_____ გივი მეტრეველი

_____ ხერგო ლობჯანიძე

_____ ვანო ბაღაშვილი

_____ იმედა მეშვილდიშვილი

_____ ნაზიბროლა გავაშელიშვილი

_____ პავლე გოგშელიძე

_____ რეზო რაზმაძე

_____ ისმაილ ამშიკაშვილი